# „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი“

როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, 25 თებერვალს, სასულიერო უწყების ბიუჯეტის განხილვის დროს, ობერპროკურორს განუცხადებია სახელმწიფო სათათბიროში, რომ სინოდმა გადასწყვიტა ეხლავე შემოიღოს „სამიტროპოლიტო ოლქებიო“ (იხ. „კოლოკოლი“ № 2935). ამ ნაირად , ოფიციალად მტკიცდება ცნობა „კავკასიის სამიტროპოლიტოს შესახებ, რომელიც, მთელის მისი სიმწვავით, პირველად „საქართველომ“ აღნიშნა ჩვენში (№ 41). სამწუხაროდ, ჩვენმა გაზეთებმა, „სახალხო ფურცლის“ გარდა, რომელმაც ყრუდ გამოეხმაურა ამ ცნობას (№ 512), ყურადღების ღირსად არა სცნეს ეს გარემოება. ეხლა კი ყველა დარწმუნდება, რომ ჩვენს თვალ წინ იშლება უკანასკნელი აქტი საქართველოს ეკლესიის ტრაღედიისა, ის აქტი, რომელიც ამ ათიოდე წლის წინად ცნობილმა ვოსტორგოვმა შეთითხნა. რა გვმართებს ეხლა ჩვენ?

ვიდრე საკითხი საქართველოს ეკლესიის კანონიერ უფლებათა აღდგენისა ჯერ არ გადაწყვეტილა, ჩვენს საეკლესიო გარეგნულ წეს-წყობილებაში უნდა დაცულ იქმნას status puo: „საქართველოს საექსარხოსო“, რომელიც ჩვენთვის უშინაარსო ბგერა არ არის, არსებითად უცვლელად უნდა დარჩეს. ან რად მოსდომებია სინოდს მისი მოსპობა და გაუქმება? იქნებ იმისთვის, რომ არ იცის, რომელს სამიტროპოლიტოს მიაწეროს ჩრდილო კავკასია? ნუ დაავიწყდება, რომ მთელი თერგის ოლქი (ვლადიკავკაზის ეპარქია) და კასპიის იქითა მხარე მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდის საქართველოს ექსარხოსს ექვემდებარებოდა, მაგრამ ამას არ გამოუწვევია „საექსარხოსოს“ გაუქმება. იქნებ იმისთვის, რომ ჩვენშიაც საჭიროდ სთვლიან მიტროპოლიტის ხარისხს? ექსარხოსი დღეს-დღეობით წარმომადგენელია უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიისა, რომელსაც პატრიარქი განაგებდა; ამ ეკლესიის პრესტიჟი სულ რომ არ დაეცეს,

რუსეთში ახალი პროექტით, არსებითად საწინააღმდეგო არა გვექნება რა, თუ ექსარხოსსაც, მიაკავარეპისკოპოზის მაგიერ, მიტროპოლიტის ხარისხი მიენიჭება, მაგრამ იმ პირობით, რომ ის იქნება „მიტროპოლიტი ქართლისა და კახეთისა, სრულიად საქართველოს ექსარხოსი“; პირველი ჩვენი ექსარხოსები, სამოციან წლებამდის, ევსევი ექსარხოსამდის, მიტროპოლიტის ხარისხს ატარებდენ, მაგრამ ამას არ გამოუწვევია „საქართველოს საექსარხოსოს“ გაუქმება. რა იწვევს ეხლა იმას, თუ არა პოლიტიკანობა? რავდენიც უნდოდეთ, იმდენი სამიტროპოლიტო ოლქი დაიარსონ თავისთვის, საქართველოს საექსარხოსო კი „საქართველოს საექსარხოსოდ უნდა დარჩეს იმ დღემდის, როდესაც მისი ბედი საბოლოოდ გადაწყდება. ამ მხრივ ქართველებმა უნდა ხმა აღიმაღლონ ეხლავე: ხმა უნდა ამოიღონ მათ სახელმწიფო სათათბიროში, ხმა უნდა ამოაღებინონ მათ ვისმეს სინოდში, განსაკუთრებით მიტროპოლიტ პიტირიმს, რომელსაც, მეტი არ იქნება, მოვაგონოთ—რას გვპირდება და რას გვაძლევს. აქაც, ადგილობრივ, სათანადო დეპუტაცია უნდა გაუგზავნოთ მეფის ნაცვალს და აგრეთვე ახალ ექსარხოსს, რომელიც, რამდენადაც ეიცით, „საქართველოს საექსარხოსოს“ გაუქმების იდეიას არ თანაუგრძნობს.

დეკ. კორ. კეკელიძე.